ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01182322259**
თარიღი: **20/08/2018**

**ადრესატი:**

ნინო ქობულაძე
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-I-II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 15 აგვისტოს #60-01182271416 წერილი (AR1598429), რომლითაც ითხოვთ, ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. #5 #10 (ს.კ.: 01.19.33.001.111) სააქციო საზოგადეობის "ორბელი 91" სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 იანვრის #504848 გადაწყვეტილებით, 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს საფუძველზე და ვინაიდან ტერიტორიას მინიჭებული აქვს სამრეწველო ზონა 1-ის სტატუსი, რომელსაც არ უდგინდებოდა კ3 გამწვანების კოეფიციენტი, ამდენად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' 47-ე მუხლის პირველი პუნქტის $ნ^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე განმცხადებელს არ მოეთხოვება გამწვანების პროექტის წარმოდგენა.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)